ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრების ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველი
2023 წელი

ანგარიშზე იმუშავა სოფიო რუსეცკიმ.

ანგარიში მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, რომელიც ეფუძნება **მხოლოდ** საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლებში და ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

სარჩევი

შესავალი 4

ძირითადი მიგნებები 6

1. ქალთა მონაწილეობა და ცნობიერება 7
2. უსაფრთხოების საკითხები 9
3. ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება 10
4. ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობა 11
5. განათლებაზე, სპორტულ, შემეცნებით ღონისძიებებზე მისაწვდომობა 12
6. ინფრასტრუქტურა 13
7. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა 15
8. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალები 16

რეკომენდაციები: 20

შესავალი

სამწუხაროდ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და რუსეთის მიერ განხორციელებული დესტრუქციული ქმედებები, რაც გამოიხატება საოკუპაციო ხაზზე უკანონო დაკავებებსა და უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესებში, მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ, განსაკუთრებით საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი მოუწოდებს ქვეყნებს, განსაკუთრებული ყურადღება მიმართონ და გააძლიერონ მუშაობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებების დასაცავად და მათ გასაძლიერებლად.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“[1], აღიარებს ქალებისა და გოგოების მნიშვნელოვან მონაწილეობას უსაფრთხოების, მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის მოგვარების პროცესებში და ყურადღებას ამახვილებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე, მათ დაცვაზე, საჯარო სერვისებზე წვდომაზე, ძალადობის ყველა ფორმის თავიდან აცილების საკითხებზე.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები[2] იძლევა მითითებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქალების უფლებათა დაცვას კონფლიქტის პერიოდში და მის შემდგომ. ამასთანავე, პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (BPFA),[3] გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა სხვადასხვა სფეროში.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის სექტემბერში A/RES/70/1 რეზოლუციით[4] მიიღო 2030-ის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის. მისი ამოცანები, ასევე მოუწოდებს ქვეყნებს, სხვა საკითხებთან ერთად, ხელი შეუწყონ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და ქალებისა და გოგოების გაძლიერებას.[5]

საქართველოს მთავრობის №356 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი ითვალისწინებს, როგორც

---

[1] იხილეთ: https://peacemaker.un.org/wps/normative-frameworks/un-security-council-resolutions

[2] https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf

[3] https://eige.europa.eu/about/beijing-platform-for-action

[4] https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf

[5] მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი https://www.gov.ge/files/524_74242_575286_2328.pdf

გენდერული თანასწორობის საკითხებს, მათ შორის, ძალადობის, სოციალურ-ეკონომიკურ, ჯანდაცვისა და განათლების საკითხებს.

2022 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ №510 დადგენილებით დაამტკიცა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, განხორციელების 2022 – 2024 წლების რიგით მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა, რათა გააძლიეროს ძალისხმევა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, განსაკუთრებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალების უფლებრივი მდგომარეობა. სწორედ ამ მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელს საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლებში გამართა 35 შეხვედრა[6] და მოიცვა 37 სოფელი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 196-მა ქალმა. ამასთანავე, ონლაინ ფორმატში გაიმართა შეხვედრა ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ ქალებთან.[7] შეხვედრებისთვის გამოყენებულ იქნა წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ საკითხებს:

- ქალთა ჩართულობა და ინფორმირებულობა;
- უსაფრთხოების საკითხები;
- ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობა;
- განათლებაზე მისაწვდომობა;
- სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ინფრასტრუქტურა;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა.

შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და მომზადდა ანგარიში თანმდევი რეკომენდაციებით, რომელიც ხელს შეუწყობს უწყებებსა და თვითმმართველ მუნიციპალიტეტებს, უკეთ დაგეგმონ და განახორციელონ კონკრეტული აქტივობები საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ზემოაღნიშნული შეხვედრები ჩატარდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების ჩართულობით. საქართველოს სახალხო დამცველი მადლობას უხდის კვლევაში მონაწილე ყველა ქალს, ნდობისთვის და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებისთვის.

---

[6] გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: კოშკა, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი, კარბი, ციცაგიანთკარი, ახალუბანი. კასპის მუნიციპალიტეტის სოფლები: ბოჟამი, ხვითი, საკორინთლო, ვაკე, პანტიანი, კოდისწყარო, სარიბარი, ყარაფილა. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები: ღოღეთი, თამარაშენი, საციხური, აბანო, კოდა; საჩხერის მუნიციპალიტეტი: სოფელი პერევი, ქარძმანი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სოფელი რიყე, კოკი, განმუხური, მუჟავა, ოლორი, ნაშამგუ, ორსანტია, შამგონა, ტყაია; წალენჯიხის მუნიციპალიტეტი: სოფელი ჭალე, ფოცხოეწერი, ეწერფერდი.

[7] სამწუხაროდ, ოკუპირებულ სამაჩაბლოში ქალებთან შეხვედრა ვერ მოხერხდა.

ძირითადი მიგნებები

- პრობლემად რჩება ქალთა ჩართულობა, მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, ასევე მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში;
- სოფლის კრებებზე ქალების პრიორიტეტები და საჭიროებები არ განიხილება;
- სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესის შესახებ საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ქალების მცირე რაოდენობა ფლობს ინფორმაციას;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის არ ჩატარებულა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრა ან ტრენინგი;
- ქალების დასაქმების ბარიერები კვლავ არის შინ შრომა და შინამეურნეობაში არათანაბრად გადანაწილებული ზრუნვის ტვირთი, ტრანსპორტის არარსებობა ან მისი გაუმართავი მუშაობა;
- ქალების აგრო და მცირე ბიზნესში ჩართვის ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ინფორმაციის ნაკლებობა არსებული პროგრამების შესახებ;
- ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროექტები ძირითადად მსხვილი ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობაზეა გათვლილი, რაც ზღუდავს მცირე მეწარმეობის შესაძლებლობას;
- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის სამშობიარო სახლებზე და გინეკოლოგთან წვდომა პრობლემურია;
- სოფლების უმეტესობაში არ არის აფთიაქი და მოუწესრიგებელია ამბულატორიები;
- ქალები არ ფლობენ ინფორმაციას ანტენატალური უფასო სერვისების რაოდენობისა და სარგებლობის შესახებ, ასევე არ აქვთ ინფორმაცია სკრინინგ პროგრამებზე;
- დაბალია წვდომა, როგორც ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციაზე, ასევე კონტრაცეპტივებზე, ასევე, არ აქვთ ინფორმაცია, თუ სად არის შესაძლებელი აბორტის სერვისის მიღება;
- მისაწვდომი არ არის ფსიქოლოგის სერვისი, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია;
- რიგ მუნიციპალიტეტებში, პროფესიული საჯარო კოლეჯის სტუდენტების გადასაადგილებლად, არც ტრანსპორტი, არც სამგზავრო ხარჯები არ არის გამოყოფილი;
- არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა;
- მოუწესრიგებელია შიდა გზები, გარე განათება და ტრანსპორტი;
- რიგ სოფლებში დგას სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა;
- კვლავ ფესვგადგმულია სტერეოტიპული შეხედულებები ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე; ვლინდება სამართალდამცავი უწყების მიმართ უნდობლობა;

ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ქალებისთვის

- უსაფრთხოება ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა;

- ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქალები ძირითადად დასაქმებულები არიან ბაღში, სკოლაში, საავადმყოფოში, ასევე საქმდებიან სეზონური ხილის კრეფაში, თუმცა სოციალურ-ეკონომიკური ფონი ძალიან მძიმეა.
- მოუგვარებელ პრობლემად რჩება შერჩევითი მიდგომა ოკუპირებული გალის საავადმყოფოში დასაქმებული პერსონალის ხელფასებთან მიმართებით;
- ოკუპირებული გალის საავადმყოფოში პაციენტებსა და სამედიცინო პერსონალს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიწოდებულ მედიკამენტებსა და სამედიცინო ინვენტარზე ხელი არ მიუწვდებათ;
- ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე კვლავ არ არის მისაწვდომი აბორტის სერვისი;
- ოკუპირებული გალის რაიონში გზები მოუწესრიგებელია, არ არსებობს სანიაღვრე სისტემა. სოფლებში ასევე არ არის გარე განათება და მაღალი ფასის გამო, ბევრისთვის მიუწვდომელია ინტერნეტი;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე არ ხდება სათანადო რეაგირება სამართალდამცავი უწყების მხრიდან.

1. ქალთა მონაწილეობა და ცნობიერება

არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი დოკუმენტი[8] მიუთითებს მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის მოგვარების, მოლაპარაკებებისა და მუნიციპალური პროგრამების შემუშავების პროცესში ქალების პირდაპირი ჩართულობის მნიშვნელობაზე. ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, ქვეყანაში კვლავაც პრობლემად რჩება ქალთა ჩართულობა, მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე თუ მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში. შედეგად, ფერხდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების უფლებების გაუმჯობესება. ამასთანავე, გამოირიცხება გენდერული განზომილებების გათვალისწინება და საჭიროებებზე მორგებული მიდგომები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამართული საინფორმაციო შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალები ძირითადად ესწრებიან სოფლის კრებებს, სადაც განიხილება სოფლის მოსახლეობის საჭიროებები.[9] რიგ სოფლებში, ქალების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შეხვედრებზე არასდროს ყოფილა საუბარი ქალთა საჭიროებებზე. ქალები აღნიშნავენ, რომ

[8] ევროკავშირის „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა“; ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის „კონფლიქტის პრევენციაში, კონფლიქტურ და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში მყოფი ქალების შესახებ“ 30-ე ზოგადი რეკომენდაცია; პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (BPFA), ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, ეროვნული სამოქმედო გეგმა და სხვ.

[9] გამონაკლისია სოფელი პერევი, ქარძმანი, კოშკა, ქვემო ხვითი, ღოღეთი, ნაშამგუ, რიყე, შეხვედრებში მონაწილე ქალების ინფორმაციით, მათთან არასდროს ჩატარებულა რაიმე სახის შეხვედრა.

ხშირად შეხვედრების შესახებ დროულად არ აწვდიან ინფორმაციას, რაც აბრკოლებს მათ წარმომადგენლობით ჩართულობას.

რიგ სოფლებში პრობლემად სახელდება ქალების მიერ წამოჭრილი საკითხების მოგვარება. მაგალითად, სოფელ განმუხურში მცხოვრები ქალების ინფორმაციით, წლების განმავლობაში ითხოვდნენ საბავშვო ბაღის გახსნას, მართალია, ეს პრობლემა მრავალი წლის შემდეგ მოგვარდა, თუმცა მათ მიერ წამოჭრილი სხვა საკითხები დღემდე მოუგვარებელია. სოფელ განმუხურის მსგავსად, არაერთ სოფელში სახელდება ქალების საჭიროებების უგულებელყოფა. მოწოდებული ინფორმაციით, ქალების პრიორიტეტები და საჭიროებები არც კი განიხილება. მათი თქმით, შეხვედრები ძირითადად იმართება წინასაარჩევნო პერიოდში, კანდიდატებთან.[10]

საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ქალები ვერ იხსენებენ რომელიმე უწყების მხრიდან გამართულ შეხვედრას, მხოლოდ რამდენიმე სოფელში მუშაობენ აქტიურად არასამთავრობო ორგანიზაციები, ქალების ჩართულობისა და მათი გადამზადების კუთხით. ძირითადად სახელდება იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ფაო“, „ქეა კავკასია“, ფონდი „ტასო“, „ათინათი“.[11] დადებითად უნდა აღინიშნოს ფოცხოეწერის მერის წარმომადგენლების ადგილობრივ ქალებთან შეხვედრების ჩატარების პრაქტიკა, ქალების ინფორმაციით, მუნიციპალიტეტი მათ აწვდის ინფორმაციას მუნიციპალური პროგრამების შესახებ, ასევე ჩატარდა არაერთი შეხვედრა ქალებთან სხვადასხვა თემატიკაზე, რაც მათთვის მნიშვნელოვანი იყო.

სამწუხაროდ, სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესის შესახებ საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ქალების მცირე რაოდენობა ფლობს ინფორმაციას, რომელიც ან მედიის, ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან აქვთ მიღებული.

საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ქალებთან 2023 წელს არ ჩატარებულა რაიმე სახის ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები. არ აქვთ ინფორმაცია უფასო იურიდიული დახმარების შესახებ, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა დაასახელა არასამთავრობო ორგანიზაცია „საია“. დადებითად უნდა აღინიშნოს გორის მუნიციპალიტეტი, სადაც თვითმმართველობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მართავს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში შეხვედრებს. მათ შორის, ადგილობრივ ქალებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეხვედროდნენ იურისტსა და ფსიქოლოგს. ამასთანავე, 2023 წელს ადგილზე ჩავიდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები და ქალებს გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაციები. კასპის მუნიციპალიტეტში იურიდიულ კონსულტაციებს მოსახლეობას უწევს მობილური იუსტიციის სახლი. რამდენიმე სოფელში[12] ქალთა ცნობიერების

[10] სოფლები: კოდისწყარო, სარიბარი, ყარაფილა, საციხური, აბანო, კოდა, ხვითი, ბოჟამი, ახალუბანი, კარბი, განმუხური, ეწერფერდი, კოკი, ტყაია, შამგონა.

[11] სოფლები: კოშკა, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, თამარაშენი, ნაშამგუ, ოლორი, რიყე, შამგონა, ტრენინგების თემატიკა იყო ოჯახში ძალადობა, ლიდერობა, რძის ნაწარმის ვარგისიანობა, სამეწარმეო საქმიანობა და მისი ორგანიზება.

[12] სოფლები: პერევი, კოშკა, ზემო და ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ხვითი, ეწერფერდი, კოკი.

ამაღლებაზე ზრუნავენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ასევე სთავაზობენ უფასო იურიდიულ კონსულტაციას.[13]

2. უსაფრთხოების საკითხები

ადამიანის უსაფრთხოება, უსაფრთხოების ტრადიციული გაგების გარდა, სხვა დამატებით საკითხებსაც მოიცავს, ესენია უსაფრთხო ჯანდაცვა, უსაფრთხო განათლება, დასაქმება და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ უსაფრთხოებაზე საუბრისას, ეს საკითხი უფრო ფართოდ იყოს დანახული, შესწავლილი და შესაბამისი ზომები მიღებული.

ადამიანებს სჭირდებათ მდგრადი და საკმარისი საარსებო წყარო, ადეკვატური საცხოვრებელი, მისაწვდომი განათლება, ჯანდაცვა და დასაქმების შესაძლებლობები, სუფთა გარემო და სუფთა სასმელი წყალი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ადამიანური უსაფრთხოების მდგომარეობაში მყოფი პირები, მეტად დაცულები არიან ძალადობრივი კონფლიქტებისა და კატასტროფების დროს. ამრიგად, ადამიანის უსაფრთხოება კონფლიქტების პრევენციის მთავარი კომპონენტია.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალების უმრავლესობა თავს უსაფრთხოდ გრძნობს, რადგან მოწოდებული ინფორმაციით, ადგილზე პატრულირებენ ადგილობრივი პოლიცია, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და გაეროს წარმომადგენლები. მოწოდებული ინფორმაციით, ბოლო წლების განმავლობაში შემცირებულია ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის პირთა უკანონო დაკავებები, თუმცა ასევე უთითებენ, რომ თავად ერიდებიან ოკუპირებულ ტერიტორიებთან ახლოს მისვლას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მათი თქმით, უსაფრთხოების განცდა ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს.

გამონაკლისია გორის, ქარელისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების რიგი სოფლები[14], სადაც ქალები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ. მოწოდებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავები მუდმივად პატრულირებენ, ეს მათ უსაფრთხოდ ცხოვრების გარანტიას არ აძლევს. მათი თქმით, სანამ ოკუპაციის ხაზთან რუსი სამხედროები დგანან, მშვიდი ცხოვრება შეუძლებელია.[15]

სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობისთვის არ ჩატარებულა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა ან ტრენინგი. ქალები ამბობენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია, ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მართონ ადგილზე სიტუაცია კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში. მსგავსი ტრენინგი მხოლოდ სოფელ კოშკაში ჩაატარა ასოციაცია „თანხმობამ“, რასაც ქალები დადებითად აფასებენ.

---

[13] ასეთი ორგანიზაციებია: თანხმობა, GCRT, გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

[14] სოფლები: კოშკა, ზემო და ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, კარბი, ღოღეთი, ახალუბანი, თამარაშენი, ნაშამგუ.

[15] სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას, ერთ-ერთი ქალის თქმით, ძილის წინ იხსენებს სად აქვს შენახული საჭირო დოკუმენტაცია, რათა გაქცევის შემთხვევაში ადვილად იპოვოს..

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის უსაფრთხოება არაერთ საკითხს მოიცავს. შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციით, რიგ სოფლებში ასევე პრობლემურია განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ტრანსპორტზე მისაწვდომობის საკითხები, რომელიც შესაბამის თემატურ ქვეთავებშია განხილული.

3. ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ დაამტკიცა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია[16], რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხედვის ჩამოყალიბებასა და ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრას, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, ქვეყანაში კვლავ ბევრი გამოწვევა რჩება. სიღარიბის და უმუშევრობის მასშტაბები ქალებს მეტად მოწყვლად მდგომარეობაში ამყოფებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამართულ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალების შემოსავლის ძირითადი წყარო პენსია და დევნილთა და სოციალურ დაუცველთა შემწეობაა. ადგილობრივი ქალები დასაქმებულები არიან სკოლებში, ბაღებსა და სერვისის სფეროში. ამასთანავე, საქმდებიან სეზონურ სამუშაოებზე. ქალებმა დადებითად აღნიშნეს „სოციალურად დაუცველი ოჯახების დასაქმების სახელმწიფო პროგრამის“ შესახებ, რომლის ფარგლებშიც არაერთი ქალი დასაქმდა.

ქალების დასაქმების ბარიერებად რჩება შინ შრომა და არათანაბრად გადანაწილებული ზრუნვის ტვირთი, ტრანსპორტის არარსებობა ან მისი გაუმართავი მუშაობა. შესაბამისად, მაღალია ქალების მიგრაციის მაჩვენებელი.

აგრო და მცირე ბიზნესში ქალების ჩართვის ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ინფორმაციის ნაკლებობა არსებული პროგრამების შესახებ.[17] მიუხედავად იმისა, რომ რიგ სოფლებში სამეწარმეო საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციები ატარებენ ტრენინგებს, სოფლების უმრავლესობაში დასახელდა ქალების გადამზადებისა[18] და დასაქმების საჭიროება.[19]

შეხვედრის მონაწილეები დადებითად აფასებენ „აწარმოე საქართველოს“ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, რამდენიმე სოფელში ქალებმა შეძლეს სამეწარმეო/ბიზნეს საქმიანობის წამოწყება.[20] თუმცა დასახელდა პროექტების კონკურსში მონაწილეებისთვის უარის თქმის

---

[16] 2023 წლის 23 მარტის საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5755428?publication=0].

[17] სოფლები: ნაშამგუ. ღოღეთი, ხვითი, ბოჟამი, ახალუბანი, ციცაგიანთკარი, ქვემო ხვითი.

[18] პროექტის წერის ტრენინგი, შემდეგ დასახლებებში: ეწერფერდი, კოკი, განმუხური , *საციხური, აბანო და კოდა, ღოღეთი, ხვითი, ბოჟამი, ახალუბანი, ციცაგიანთკარი, ქვემო ხვითი, კოშკა, ქარძმანი.*

[19] სოფელ ჭალეში ითხოვეს სამკერვალოს ან თიხის ქარხნის გახსნა.

[20] კარგი პრაქტიკა გამოიკვეთა სოფელ ორსანტიაში. ხოლო სოფელ ნაშამგუში „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში სამკერვალო სალონი გაიხსნა, სადაც დასაქმდა 10 ქალი. პერევში 40 ქალიდან 7-ს დაუფინანსდა პროექტი, ამჟამად მიმდინარეობს მათი გადამზადება და სწავლება.

მაღალი მაჩვენებელი.[21] ხშირად ქალები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთს საკუთრებისა და თანამონაწილეობის სხვა პირობებს.[22] მათ ვისაც მცირე ფართობის მიწები აქვთ, არ ეძლევათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა კონკურსებში. განმარტავენ, რომ პროექტები ძირითადად მსხვილი ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობაზეა გათვლილი.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გოგოებისა და ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებისთვის, მეტი აქცენტი უნდა კეთდებოდეს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ქალების გაძლიერებაზე. ის კრიტერიუმები, რასაც დასაფინანსებელი პროექტები ითვალისწინებს, ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს და არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ მსხვილ ფერმერებზე. თანამონაწილეობის პროცენტი კი, უნდა იყოს დაბალი, რათა მცირე მიწიან ოჯახებსაც მიეცეთ პროექტში ჩართვის შესაძლებლობა.

ადგილობრივი ქალები აცხადებენ, რომ ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის აუცილებელია მათი გადამზადება და აღჭურვა შესაბამისი ტექნიკით, ინვენტარითა თუ მასალით, რათა შეძლონ მიღებილი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება.

4. ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობა

ადამიანის უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ხარისხიან ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა. სამწუხაროდ, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის სამშობიარო სახლებსა და გინეკოლოგთან წვდომა პრობლემურია.[23] საკმაოდ დიდი მანძილის გავლა უწევთ მათ ამ სერვისის მისაღებად, რაც, თავისთავად დაკავშირებულია დროის, გადაადგილებისა და ფინანსურ პრობლემებთან. მისაწვდომობის გარდა, რიგ ქალაქებში პრობლემად დასახელდა ექიმების კვალიფიკაციისა და დამოკიდებულების პრობლემა. [24]

სამწუხაროდ, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების უმეტესობაში არ არის ამბულატორია და არ აქვთ წვდომა სოფლის ექიმზე, ამბულატორიით[25] ან ექიმის სერვისის სარგებლობისთვის მათ 3-დან 60 კმ-მდე მანძილის გავლა უწევთ.[26] თუმცა რამდენიმე სოფელში ისაუბრეს

---

[21] სოფელი ოლორი.

[22] სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბარში აღნიშნავენ, რომ, მაგალითად, საწყისს ეტაპზე არ გააჩნიათ შენობა, ტექნიკა ან/და ინვენტარი, რასაც პროექტი მოითხოვს. თამარაშენში კი მიუთითეს, რომ კონკურსის პირობები არ არის ადგილობრივ მოსახლეობის შესაძლებლობებზე მორგებული, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს.

[23] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალედან ქალებს ზუგდიდში უწევთ სერვისის მიღება. სოფლები: შამგონა, ფოცხოეწერი, ტყაია, რიყე, ორსანტია, ოლორი, მუჟავა, ეწერფერდი, განმუხური, კოდისწყარო, სარიბარი, ყარაფილა, კარბი, ცვითი, ბოჟამი.

[24] სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბარში, ცალკეულ შემთხვევაში ხაზი გაესვა ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში ექიმებს მხრიდან პაციენტების მიმართ უხეშ დამოკიდებულებას.

[25] სოფლები: ფოცხოეწერი, ტყაია, კოკი, კოშკა, კარბი, ციცაგიანთკარი, ბოჟამი, ხვითი, ღოღეთი, საციხური.

[26] სოფლები: შამგონა, მუჟავა.

კეთილმოწყობილ ამბულატორიასა და სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობაზე,[27] რაც ადგილობრივი ქალებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია.

განსაკუთრებით ყურადსაღებია მდგომარეობა ანტენატალური უფასო სერვისების რაოდენობისა და სარგებლობის კუთხით.[28] სოფლების უმეტესობაში არ აქვთ ინფორმაცია უფასო სკრინინგ ცენტრებზე.[29] იმ სოფლებში, სადაც ტარდება გამოკვლევები, ქალების ჩართულობა ძალიან დაბალია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ცნობიერების ასამაღლებლად, ადგილობრივ ქალებთან მეტი შეხვედრის გამართვაა საჭირო.[30]

ასევე დაბალია ინფორმირებულობა და წვდომა, როგორც ოჯახის დაგეგმვის შესახებ, მათ შორის კონტრაცეპტივებზე, ისე იმის შესახებ, თუ სად არის შესაძლებელი აბორტის სერვისის მიღება.[31]

არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი დოკუმენტის მიუხედავად, რომელიც განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას და მოუწოდებს ქვეყნებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირებისთვის ფსიქოლოგის სერვისის მიწოდებისკენ, კონფლიქტით შედეგად დაზარალებულ ქალებს მასზე ხელი არ მიუწვდებათ.

სოფლების უმეტესობაში არ არის აფთიაქი[32], მოსახლეობას სხვა ქალაქებში უწევს წასვლა, რაც დამატებით დროსთან და ტრანსპორტის ხარჯებთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, რიგ მუნიციპალიტეტებში, ქალებს არ აქვთ ინფორმაცია მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან მუნიციპალურ ჯანდაცვის პროგრამებზე.[33]

5. განათლებაზე, სპორტულ, შემეცნებით ღონისძიებებზე მისაწვდომობა

სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის დაეფინანსებინა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება, რაც წლების განმავლობაში წარმატებით ხორციელდება. ამ ფაქტს ადგილობრივი ქალები დადებითად აფასებენ.

ამასთანავე, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი, თუმცა მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში სტუდენტების გადასაადგილებლად გამოყოფილი არ არის არც ტრანსპორტი

---

[27] სოფლები: ჭალე, რიყე, ორსანტია, ოლორი, ნაშამგუ, განმუხური, კოშკა, პერევი, ზემო ნიქოზში მისაწვდომია ამბულატორიაში გინეკოლოგი, ოფთალმოლოგი, რენტგენი, ლაბორატორია, აფთიაქი.

[28] სოფლები: ჭალე, ფოცხოეწერი, რიყე, ოროლი, მოწოდებული ინფორმაციით, მათ მიიღეს მხოლოდ 3-4 უფასო სერვისი, დანარჩენი ფასიანია. კოკი, ეწერფერდი, განმუხური, კოშკა, სოფელ მუჯშავიდან, ქალების ინფორმაციით, ყველა კონსულტაცია და ვიზიტი იყო ფასიანი.

[29] რიგ სოფლებში აქვთ ინფორმაცია, თუმცა არ უსარგებლიათ (ჭალე).

[30] ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით, თბილისში, უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა 50 ქალს შემდეგი სოფლებიდან: ორსანტია, რიყე, კოკი, ეწერფერდი, კოშკაში და კარბში, ხოლო სოფელ პერევში სოფლის ექიმი და მერის წარმომადგენელი აწვდიან შესაბამის პროგრამებზე ინფორმაციას.

[31] სოფელი შამგონა.

[32] სოფლები: ჭალე, ფოცხოეწერი, რიყე, კოკი, ეწერფერდი, ბოჟამი, ღოღეთი.

[33] სოფელი ტყაია.

და არც სამგზავრო ხარჯები,[34] რის გამოც ხშირად ახალგაზრდები უარს ამბობენ განათლების მიღებაზე. პრობლემად დასახელდა პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობაც.[35] ამ კუთხით დადებითად გამოირჩევა სოფელი ეწერფერდი, სადაც, ადგილობრივ სკოლაში მიმდინარეობს პროფესიული სწავლებაც.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მოსწავლე ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი სპორტულ-შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები თითქმის არ იმართება.[36] რამდენიმე სოფელში არის კლუბი, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აქტივობებში ჩაერთონ. შეხვედრის მონაწილეებმა სულ რამდენიმე სოფელი დაასახელეს, სადაც რეგულარულად იმართება სპორტული აქტივობები ან მოქმედებს სხვადასხვა სახის წრეები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულები გოგოები.[37]

ქალებთან საუბრისას, გამოიკვეთა, რომ ვინაიდან მაღალია ახალგაზრდების მიგრაცია დიდ ქალაქებში, მნიშვნელოვანია მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებს ჰქონდეთ გასართობ-შემეცნებითი, მათ შორის, სპორტული აქტივობები, რათა არ მოხდეს აღნიშნული დასახლებების ახალგაზრდებისგან დაცლა.

6. ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურული საკითხების მოუწესრიგებლობა უშუალოდ უკავშირდება ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით, ქალებსა და გოგოებს უქმნის უსაფრთხოების, განათლების, დასაქმებისა და სხვა სერვისებზე მისაწვდომობის პრობლემას, რაც საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი კვლევითაც დასტურდება.[38]

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ჩატარებული შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციით, სოფლების უმეტესობაში მოწესრიგებულია ცენტრალური გზები,[39] თუმცა არ არსებობს სანიაღვრე სისტემა, რის გამოც გზები ხშირად ზიანდება. ბევრ სოფელში დაზიანებულია შიდა გზები და საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

---

[34] სოფელ ფოცხოეწერში გამოყოფილია ყოველთვიური 150 ლარი სტუდენტების გადაადგილებისთვის. სოფელ რიყეში, ორსანტიასა და კოკში მოქმედებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოქმედებს 50%-იანი ფასდაკლება სტუდენტებზე.

[35] შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მას გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ მსურველთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო.

[36] სოფლები: კოშკა, კარბი, ციცაგიანთკარი, ახალუბანი, ბოჟამო, ხვითი, საკორინთლო, ვაკე, პანტიანი, ღოღეთი, კოდისწყარო, სარიბარი, ყარაფილა , ორსანტია.

[37] სოფლები: ნიქოზი, ქვემო ნიქოზი და ზემო ხვითი, რიყე, ტყაია, ფოცხოეწერი.

[38] კვლევა „ქალები და მობილობა“, 2021 წელი [https://www.ombudsman.ge/res/docs/2021092012383647680.pdf]; დევნილი ქალების მობილობის ბარიერები და მათი ზეგავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე 2022 წელი [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022122312304281594.pdf]; მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება, 2022 წელი [https://www.ombudsman.ge/res/docs/2023041823365399348.pdf].

[39] გარდა სოფელ კოშკასა და ეწერფერდისა.

სოფელი ხვითი | სოფელი ეწერფერდი | სოფელი კოშკა

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილი ღირსეული და ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით. მოსახლეობის თქმით, ზოგიერთი სახლი იმდენად არის დაზიანებული, რომ უხვი ნალექის პერიოდში, წვიმის წყალი სახლებში შედის.[40] არცერთ სოფელში არ არის კანალიზაციის სისტემა.[41] მოსახლეობის თქმით, ზოგიერთ სოფელში დგას სასმელი წყლის პრობლემა,[42] მოსახლეობას ასევე არ აქვს წვდომა სარწყავ წყალზე.[43]

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების უმეტესობაში პრობლემურია ტრანსპორტზე წვდომა, მუნიციპალური ან კერძო ტრანსპორტის არარსებობის ან მისი განრიგის გამო.[44]

რიგ სოფლებში დასახელდა გარე განათების პრობლემა. ქალების ინფორმაციით, ამის გამო, საღამოს საათებში მათი გადაადგილება არ არის უსაფრთხო.[45]

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების უმრავლესობა გაზიფიცირებულია გარდა ეწერფერდისა და ოლორისა. თითქმის ყველა სოფელში უწყვეტად მიეწოდებათ ელექტროენერგია, აქვთ წვდომა ინტერნეტზე.

ადგილობრივი ქალები დადებითად აფასებენ სკოლებისა და ბაღების მისაწვდომობასა და ინფრასტრუქტურას, გარდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარბისა. სოფელ კარბის საბავშვო ბაღისა და კულტურის სახლის შენობები ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული, ხოლო კულტურის სახლი იმდენად არის დაზიანებული, რომ საფრთხის შემცველია, ამიტომ,

---

[40] სოფლები: კარბი, მუშავა.

[41] სოფლები: საციხური, აბანო, კოდა, ხვითი, ბოჟამი, ციცაგიანთკარი, კარბი, ხვითი, ზემო და ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, კოშკა, განმუხური, ნაშამგუ, ორსანტია, ტყაია, ფოცხოეწერი, შამგონა.

[42] სოფელ თამარაშენში არის ჭაბურღილი, თუმცა არ ფუნქციონირებს. ღოღეთში წყალი მიეწოდებათ გრაფიკით, თუმცა სასმელად არ არის ვარგისი. წყალმომარაგება გამოწვევაა ასევე შემდეგ სოფლებში: ახალუბანი, ორსანტია, ტყაია.

[43] სოფლები: კოდისწყარო, სარიბარი, ყარაფილა, საციხური, აბანო, კოდა.

[44] სოფლები: საციხური, აბანო, კოდა, ღოღეთი, ბოჟამი.

[45] სოფლები: განმუხური, ეწერფერდი, ნაშამგუ, რიყე, შამგონა.

ქალები ამ შენობის დემონტაჟს ითხოვენ. ასევე, მათი თქმით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლა/ბაღის შენობა საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

სოფელ კარბის საბავშვო ბაღი.

სოფელ ეწერფერდის სკოლა და საბავშვო ბაღი.

7. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და გოგოები, გარდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა, გენდერული ნიშნით ძალადობის რისკის წინაშეც დგანან. „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ ეროვნული სამოქმედო გეგმით, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება გენდერული ნიშნით, მათ შორის, სექსუალური ძალადობის საკითხებზე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში გამართოს ცნობიერების ამაღლების შეხვედრები.[46]

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ჩატარებული შეხვედრების შედეგად ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე განსხვავებულად საუბრობენ. რიგ სოფლებში,

[46] ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, ეროვნული სამოქმედო გეგმის აქტივობა N 2.1.1 და N 2.1.2.

ქალების ინფორმაციით, არასდროს სმენიათ ძალადობის ფაქტების შესახებ, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამის უწყებებს არ მიმართავდნენ.

ცალკეულ სოფლებში[47], ქალების თქმით, საკმაოდ ხშირია ოჯახში ძალადობა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, თუმცა მოსახლეობა არ მიმართავს სამართალდამცავ უწყებას, თავად ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან თანამშრომლების ძალადობის თემაზე მუდმივი გადამზადების მიუხედავად, ქალებმა შეხვედრაზე ისაუბრეს პოლიციის თანამშრომლის არასენსიტიურ დამოკიდებულებაზე, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა მათში უწყებებისადმი უნდობლობა.

ქვეყანაში არსებული ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების მიუხედავად, ადგილობრივი ქალების თქმით, სერვისები არ არის გრძელვადიანი და ქალების გაძლიერებაზე მორგებული, რომ შეძლონ მომავალში შვილებთან ერთად დამოუკიდებლად ცხოვრება.

გამოკითხული ქალების ინფორმაციით, 2023 წელს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე ცნობიერების ამაღლების შეხვედრები მხოლოდ ერთეულ მუნიციპალიტეტში გაიმართა თვითმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. მიუხედავად ამისა, ქალებს აქვთ ინფორმაცია მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ, რაც, შესაძლოა, გასულ წლებში განხორციელებული აქტივობების შედეგი იყოს.[48]

სამწუხაროდ, კვლავ ვლინდება სტერეოტიპული შეხედულებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით[49] და იკვეთება უნდობლობა სამართალდამცავი ორგანოებისადმი, რამაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის ნაკლებობაზე.

8. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალები

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, ადგილზე მათი უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად, გამართეს შეხვედრა ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში, ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან. შეხვედრა წარიმართა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც მოიცავდა უსაფრთხოების, ჯანდაცვის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ინფრასტრუქტურისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს.

---

[47] სოფლები: შამგონა, ორსანტია, ოლორი, ტყაია.

[48] ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, 2021 წელი, [https://www.ombudsman.ge/res/docs/2021092011060915681.pdf], გვ. 9.

[49] სტერეოტიპულ შეხედულებებზე მსჯელობა ასევე გვხვდება საქართველოს პარლამენტის თემატური მომხსენებლის ანგარიშში, „საქართველოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება“ 2023 წელი. https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/sakartvelos_parlamentis_tematuri_momkhseneblis_angarishi.pdf

უსაფრთხოება

გამოკითხული ქალები ამბობენ, რომ ადგილზე თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოჩამჩირეში სამხედრო ბაზისა და პორტის მშენებლობა დაიგეგმა. მათი თქმით თუ მშენებლობა დაიწყო მიუხედავად იმისა, რომ მათ წასასვლელი არსად აქვთ, ისინი ადგილზე ვერ გაჩერდებიან რადგან არ იქნება მათთვის სამხედრო ბაზის მახლობლად ცხოვრება უსაფრთხო.

მოწოდებული ინფორმაციით, ქალები არ ფლობენ ინფორმაციას სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ. შეხვედრაში მონაწილე ქალების თქმით, 2023 წლის თებერვალში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“[50] საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის წარდგენის შემდეგ გაზრდილია წნეხი არასამთავრობო სექტორზე, რამაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, რაც უარყოფითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისედაც მწირი, სერვისების მისაწდომობაზე.

სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქალები ძირითადად დასაქმებულები არიან ბაღში, სკოლაში, საავადმყოფოში, ასევე საქმდებიან სეზონური ხილის კრეფაში.

მოწოდებული ინფორმაციით, სოციალურ-ეკონომიკური ფონი ძალიან მძიმეა. მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის არის მცირე დახმარებები, რაც მოიცავს დენის გადასახადზე შეღავათს და პენსიას. ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის წელიწადში ერთხელ გამოიყოფა ფინანსური დახმარება, თუმცა ამის მიუხედავად, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახების შესახებ, რაც ცალსახად გამორიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, ყველას მიუწვდებოდეს ხელი არსებულ პროგრამებზე.

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში მოუგვარებელ პრობლემად რჩება შერჩევითი მიდგომა ოკუპირებული გალის საავადმყოფოში დასაქმებული პერსონალის ხელფასებთან დაკავშირებით. ზოგიერთ ექიმსა და ექთანს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ერიცხებათ ხელფასი. საავადმყოფო, წლებია, ითხოვს თანამშრომლებისგან პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს, რის შემდეგაც, მათი ინფორმაციით, მათ, სავარაუდოდ, იყენებენ სამედიცინო პერსონალისთვის განკუთვნილი ქართული ლარების მისათვისებლად.[51] მოწოდებული ინფორმაციით, სამედიცინო პერსონალს კვარტალში

[50] სახალხო დამცველის რწმუნებულების შეხვედრა ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ ქალებთან გაიმართა 2024 წლის 23 იანვარს.

[51] გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც რამდენიმე პირს მობილურზე მოუვიდა მესიჯი ხელფასის ჩარიცხვის შესახებ, რომლებსაც ანგარიში არ ჰქონიათ გახსნილი.

ერთხელ აწერინებენ უწყისზე ხელს, რომ ხელფასი იქნება,[52] თუმცა საკითხი დღემდე არ მოგვარებულა. მათ ჯერაც არ მიუღიათ ანაზღაურება კოვიდ პანდემიის პერიოდში გაორმაგებული სამუშაოსთვის.

დადებითად უნდა აღინიშნოს სტუდენტების დაფინანსების საკითხი. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალების ინფორმაციით, ეს პროცესი დაუბრკოლებლად მიმდინარეობს. სკოლა და ბაღი სოფლების უმეტესობაში მისაწვდომია, თუმცა ცალკეული მათგანი საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. ხოლო რამდენიმე სკოლაში ინფრასტრუქტურა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოაწესრიგეს. მასწავლებლები ასევე იღებენ ცენტრალური ხელისუფლებისგან ხელფასს.

ჯანდაცვის საკითხები

საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილე ქალების თქმით, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში პრობლემაა ოკუპირებული გალის საავადმყოფოში ინვენტარისა და ინფრასტრუქტურის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლება ოკუპირებულ გალში გზავნის[53] მედიკამენტებს და სხვა სახის სამედიცინო ინვენტარს, პაციენტებსა და სამედიცინო პერსონალს მათზე ხელი არ მიუწვდებათ. მოწოდებული ინფორმაციით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიწოდებული მედიკამენტები აფთიაქებში იყიდება.[54] ამ პროცესს არავინ უწევს მონიტორინგს. ასევე აღინიშნა, რომ ოკუპირებული გალის საავადმყოფოში დღის განმავლობაში პაციენტი თავისი ხარჯით ყიდულობს ნებისმიერ წამალს, ხოლო რიგი წამლები ღამის საათებში უფასოდ მიეწოდებათ. ეს საავადმყოფო ასევე არ არის მისაწვდომი შშმ პირებისთვის.

სოფლებში ამბულატორიები მისაწვდომია, ისინი სათანადოდ არის აღჭურვილი მედიკამენტებითა და შესაბამისი ტექნიკით. ასევე ხელმისაწვდომია სამედიცინო პერსონალი და გამართულად მუშაობს სასწრაფო სამედიცინო დახმარებაც.

მოწოდებული ინფორმაციით, ოკუპირებულ გალში სამშობიარო და გინეკოლოგიური სერვისი მისაწვდომია. ყველა მშობიარობა ფასიანია, ასევე ფასიანია ორსულებისთვის ანალიზები და კვლევები, რაც საკმაოდ ძვირია. რაც შეეხება კონტრაცეფციას, UNICEF-ის მხარდაჭერით უფასოდ მისაწვდომია მხოლოდ სპირალი. ამასთანავე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ არის უფასო სკრინინგ პროგრამები, ამ სერვისს ქალები, ძირითადად, ქალაქ ზუგდიდში იღებენ.

სახალხო დამცველი წლებია საუბრობს უსაფრთხო აბორტის სერვისის მნიშვნელობაზე, თუმცა აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ სერვისის მიღება შეუძლებელია. მოწოდებული ინფორმაციით, არაერთი კრიტიკულად მძიმე შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ქალებმა

[52] მოწოდებული ინფორმაციით, ზუსტად არ იციან, რაზე აწერენ ხელს, ვინაიდან აქვთ განცდა, რომ მათი ხელმოწერის შემდეგ ცარიელ უწყისში თავად ამატებენ ინფორმაციას.
[53] აღნიშნულის თაობაზე მოსახლეობას ტელევიზიიდან აქვს ინფორმაცია.
[54] ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე აფთიაქებში იყიდება ქართული წარწერებით რიგი წამლები.

სხვადასხვა მედიკამენტისა თუ ხალხური მეთოდის გზით სცადეს არასასურველი ორსულობის შეწყვეტა და მათი გადაყვანა ზუგდიდის საავადმყოფოში გახდა აუცილებელი.

ინფრასტრუქტურა

ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალების ინფორმაციით, ოკუპირებული გალის რაიონში ინფრასტრუქტურა განადგურებულია, გზები მოუწესრიგებელია. არ არსებობს სანიაღვრე სისტემა. სოფლებში ასევე არ არის გარე განათება. ელექტროენერგია მიეწოდებათ, თუმცა გადასახადი გაძვირებულია. რაც შეეხება ინტერნეტს, იმდენად ძვირია, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ნათესავებთან საკომუნიკაციო ერთადერთი საშუალებაა, გადასახადის სიძვირის გამო ბევრ ოჯახს მოუწია ინტერნეტის სარგებლობაზე უარის თქმა.

შეხვედრის მონაწილე ქალების ინფორმაციით საგანგაშოა გარემოს დაცვა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ქალების თქმით ოკუპირებული გალის ტერიტორიაზე ნაგავსაყრელი მოაწყვეს, სადაც სოხუმიდან წამოღებული ნაგავი იყრება, რაც იწვევს მძიმე ანტისანიტარიას.

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა

ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ქალების ინფორმაციით, ადრეული ქორწინება ძირითადად ბავშვების ინიციატივით ხდება. პოლიცია ვერ ახდენს რეაგირებას. ამასთანავე, თუ არასრულწლოვანი წყვეტს განათლების მიღებას, მას უფლება აქვს დაქორწინდეს. არასრულწლოვნის ორსულობის შემთხვევებიც ხშირია, და ამ დროს ოჯახს არასრულწლოვანი რუსეთის ფედერაციაში მიჰყავს აბორტის სერვისის მისაღებად. ასევე ხშირად, როდესაც არასრულწლოვანი აჩენს ბავშვს, ასაკის შესახებ არასწორ ინფორმაციას აწვდიან, რომლის გადამოწმება არ ხდება.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე პოლიცია მხოლოდ მოძალადის ხელწერილით შემოიფარგლება. რიგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული წესით რამდენიმე დღით აკავებენ. გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც მამამ შვილი იმის გამო მოკლა, რომ იგი გააუპატიურეს, მოძალადე კი მხოლოდ 1 კვირით იყო დაკავებული.

ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები ოკუპირებულ რეგიონში არ არის. ქალებს ასევე არ აქვთ ინფორმაცია ამ სერვისის შესახებ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ქალები დადებითად აფასებენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - 112. მოწოდებული ინფორმაციით, ცხელი ხაზის ოპერატორები უწევენ კონსულტაციას და აწვდიან მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

რეკომენდაციები

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს:

- უზრუნველყოს ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა და ამასთან დაკავშირებით საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში შეხვედრებისა და საინფორმაციო/საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს:

- პარტნიორულ უწყებებთან თანამშრომლობით რეგულარულად მართოს შეხვედრები საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე.

იურიდიული დახმარების სამსახურს:

- უფასო იურიდიული კონსულტაციების გაცემის მიზნით, გამართოს შეხვედრები საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან და გოგოებთან;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- საჭიროების შემთხვევაში, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის უზრუნველყოს ფსიქოლოგის სერვისის მიწოდება;
- გამართოს შეხვედრები სოფლად მცხოვრებ ქალებთან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფასო პროგრამების შესახებ;
- უზრუნველყოს სამშობიარო სახლებზე მისაწვდომობა;
- უზრუნველყოს ამბულატორიების მოწესრიგება, შესაბამისი მედიკამენტებითა და ინვენტარით აღჭურვა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

- დაიგეგმოს და განხორციელდეს სპორტული/კულტურული ღონისძიებები ახალგაზრდებისთვის.

მუნიციპალიტეტებს:

- ქალთა საჭიროებების გამოვლენის მიზნით, უზრუნველყოს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში შეხვედრების ჩატარება;
- გამართოს შეხვედრები სოფლად მცხოვრებ ქალებთან ქვეყანაში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით არსებული პროგრამების შესახებ;
- უზრუნველყოს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში შიდა გზების მოწესრიგება;
- საჭიროებისამებრ უზრუნველყოს სასმელი და სარწყავი წყლის მოწოდება სოფლებში;

- საჭიროებისამებრ უზრუნველყოს სოფლებში გარე განათებების მოწყობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების მოწესრიგება;
- უზრუნველყოს სოფლებში სტუდენტების გადაადგილებისთვის საჭირო ტრანსპორტზე მისაწვდომობა.